საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-71

29/01/2020

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, შპს „მარიამი 2019“-ის ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ”

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს „ქ. თბილისში, შპს „მარიამი 2019“-ის ქაღალდის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა N7 (21.01.2020 წ.);
2. შპს „მარიამი 2019“-მა სავალდებულოა გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს სკოპინგის დასკვნის N7 (21.01.2020 წ.) შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „მარიამი 2019“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მარიამი 2019“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, სამგორის რაიონის გამგეობის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი